ხელშეკრულება№236
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 25 11 2013 წელი

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის დავით რაზმაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „მოურავი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ მამასახლისის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი.

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის საქ მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის № 162 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით საპირფარეშოს მოწყობის (მშენებლობის) სამუშაოები (CPV კოდი 45200000) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 *შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება.*

2.1. შესყიდვის ობიექტია: სოფელ კარალეთში სარიატუალო დარბაზისათვის საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები თანდართული დეფექტური აქტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა 1749 (ათას შვიდას ორმოცდაცხრა) ლარი და 60 თეთრი, სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი და პირობები.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელსეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღე

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: სოფელი კარალეთი

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

6.1. შესყიდვის ობიექტის (მისი ეტაპის) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდებაუნაღდო ანგარიშსწორების გზით,რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების (შესრულებული სამუშაოების) აქტი, ფორმა №2. საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ანგარიშსწორება მოხდება არა უგვიანეს 30 დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებულ ვადაში;
- სამუშაოების დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3 % ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 15 იანვრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12 ფორს-მაჟორი.

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, გორის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სუბკონტრაქტორები.

15.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების მონაცემები.

15.2. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

16 სხვა პირობები.

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5 ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები და პროექტები.
16.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

გორის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. გორი სტალინის გამზ № 16
საბანკო რეკვიზიტები
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE14LB0120131879389002
ს/კოდი 218065910

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე

დავით რაზმაძე

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „მოურავი"
მის: გორის ტყვიავის ქ №36
საბანკო რეკვიზიტები
ს/ს თიბისი ბანკი"
ბ/კოდი TBCBGE 22
ა/ა GE32TB 7320136080100003
ს/კოდი 417877346

შ.პ.ს „მოურავი"-ს დირექტორი

ვახტანგ მჭ[illegible]ხლისი

ვამტკიცებ

ინფრასტრუქტურის განვითარების
სამსახურის უფროსი

22. 10. 2013წ.

ბ. გორგიშელი

ბორის მუნიციპალიტეტი, სოფ.კარალეთში სარიტუალო დარბაზისთვის
საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები

დეფექტური აქტი

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	ქვაბულის ძირზე ღორღის ფენილის მოწყობა სისქით 15სმ	მ3	0.53
2	ქვაბულში მონოლითური რკ/ბეტონის კედლების მოწყობა ბეტონით მ-250	მ3	2.76
3	მონოლითური რკ/ბეტონის ფილის მოწყობა ბეტონით მ-250 სისქით 15სმ.	მ3	0.53
4	კედლების მოწყობა წვრილი საკედლე ბლოკით 39X39X19	მ3	4.0
5	არსებული კარების მოწყობა	მ2	2.9
6	ხის კარკასის მოწყობა ბურულის ქვეშ არსებული მასალით	მ3	0.2
7	ბურულის მოწყობა არსებული მასალით	მ2	4.2

შემსრულებელი:

ინფრასტრუქტურის განვითარებისა
და ტერიტორიის კეთილმოწყობის
განყოფილების უფროსი — ა. ხაჩიური

განყოფილების მთავარი სპეციალისტი — ლ. ხმიადაშვილი

განყოფილების უფროსი სპეციალისტი — გ. შერმადინი

გორის რაიონის სოფ. კარალეთში სარიტუალო დარბაზისთვის საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები

სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ.ფასი	სულ	ერთ.ფასი	სულ	
1	ქვაბულის ძირზე ღორღის ფენილის მოწყობა სისქით 15სმ	მ3	0.53	17.2	9.1	40.0	21.2	30.3
2	ქვაბულში მონოლითური რკ/ბეტონის კედლების მოწყობა ბეტონით მ-250	მ3	2.76	180.0	496.8	43.0	118.7	615.5
3	მონოლითური რკ/ბეტონის ფილის მოწყობა ბეტონით მ-250 სისქით 15სმ.	მ3	0.53	180.0	95.4	43.0	22.8	118.2
4	კედლების მოწყობა წვრილი საკედლე ბლოკით 39X39X19	მ3	4.0	85.0	340.0	25.0	100.0	440.0
5	არსებული კარების მოწყობა	მ2	2.9	0.0	0.0	15.0	42.8	42.8
6	ხის კარკასის მოწყობა ბურულის ქვეშ არსებული მასალით	მ3	0.2	0.0	0.0	50.0	10.0	10.0
7	ბურულის მოწყობა არსებული მასალით	მ2	4.2	0.0	0.0	2.0	8.4	8.4
					601.3		323.8	1265.1
	ტრანსპორტის ხარჯი	5%						30.1
								1295.2
	ზედნადები ხარჯები	8%						103.6

	ჯამი							1398.8
	გეგმიური დაგროვება	6%						83.9
	ჯამი							1482.7
	დ.ღ.გ.	18%						266.9
	ჯამი							1749.6

შეადგინა : გ. შერმადინი

შეამოწმა : დ. გორგიშელი